159A 159B

## წ̃ა იოვანე ოქროპირი

### გარდაცვალებისათჳს წმიდისა ღმრთის-მშობელისა (მეორე)*

საიდუმლოსა ვხედავ, ძმანო ჩემნო საყუარელნო, საკჳრველსა, მიუწდომელსა და გამოუკულეველსა ფრიად, რამეთუ დღეს წმიდაჲ ქალწული ქუეყანისაგან ზეცად მიიცვალების დიდებასა, და ძალნი ცათანი განკკრდებიან და განკრთომით იტყჳან, ვითარმედ: მიწისაგანისა მის **ადამის** ასული უჟეშთაჱს ჩუენსა იქმნების. მთავარანგელოზნი და ბანაკი ანგელოზთაჲ ჰხედვენ წმიდასა ქალწულსა უჟეშთაეს ყოველთა მთავრობათა და განკკრდებიან და ქერობინი იგი, რომელი დგას და სცავს ხესა მას ცხორებისასა, მან იხილა წმიდაჲ ქალწული ზეცად აღმავალი და იტყოდა: მე ესერა ვდგა და ვსცავ. ჩუუკუე სადაჲთ-მე ჭამა **ადამ** ხისა მისგან ცხორებისაჲსა და ცხონდა?

სერაბინნი იტყოდეს: ვითარ-მე ასულმან **ადამისმან** მუცლად-იღო დამბადებელი მათი, და ამისთჳს რომელნი სამოთხით გამოცჳვენ, ცხონდენ? ქალწული ქერობინ იქმნების და არღარა გზასა მას სამოთხისასა, არამედ გზასა ზეცისასა აღმაღლდების და **ადამ** დაცემისაგან აღემართების.

დღეს ჭუვილი იგი და გლოვაჲ და მწუხარებაჲ **ევაჲსი** სიხარულად გარდაიქცევის. დღეს მთავარანგელოზი წმიდასა ქალწულსა კუალად ახარებს და ეტყჳს: გიხაროდენ, მიმადლებულო! რამეთუ მუცლად იღე ღმერთი და ძჱ ღმრთისაჲ და განჰკურნე წყლულებაჲ სოფლისაჲ და განანათლე ნათესავი კაცთაჲ დაბნელებული.

ხოლო მე აწ, საყუარელნო, ვითარცა ჴმაწულილი და ენა-მძიმჱ, ვჰნატრი წმიდასა ქალწულსა, ვაკურთხევ, ვადიდებ და ვაქებ ლამპარსა მას აღნთებულსა დაუშრეტელსა და ვეტყჳ: გიხაროდენ, **მარიამ**, წმიდაო ქალწულო, დედაო ნათლისაო და ჭურო უბიწოო! გიხაროდენ, **მარიამ**, დედაო და ქალწულო, მჴევალო **ემმანუელისო**, ამისთჳს რამეთუ ღმერთი შევ უხრწნელად მჴევლად; ამისთჳს რამეთუ ხატი მონებისაჲ შენგან შეემოსა, რამეთუ შევიდა მეუფჱ ქალაქსა შენსა და კუალად გამოვიდა, ვითარცა უნდა, და ბჭჱ იგი ეგო დაჴშული, – მუცლად-იღე უჴრწნელად და შევ ეგი ღმრთეებით.

გიხაროდენ, **მარიამ**, ტაძარო დაურღუეველო და წმიდაო, ვითარცა იტყჳს წინაწარმეტყუელი **დავით**: წმიდა არს ტაძარი შენი, საკჳრველ არს სიმართლითა. გიხაროდენ, **მარიამ**, ტრედო უმანკოო და უბიწოო! გიხაროდენ, **მარიამ**, სანთელო დაუშრეტელო, რამეთუ შენ მიერ ვიხილეთ მზჱ იგი სიმართლისაჲ. გიხაროდენ, **მარიამ**, დამტევნელო დაუტევნელისაო, რომელმან დაიტიე მხოლოდ-შობილი ძჱ ღმრთისაჲ თჳნიერ თესლისა და გამოიღე ნაყოფი დაუჭნომელი.

გიხაროდენ, **მარიამ**, რომელსა წინაწარმეტყუელნი გიგალობენ და მწყემსნი გადიდებენ და იტყჳან ანგელოზთა გალობასა საშინელსა: დიდებაჲ მაღალთა შინა ღმერთსა, ქუეყანასა ზედა მშჳდობაჲ, კაცთა შორის სათნოებაჲ!(ლუკ.2,14). გიხაროდენ, **მარიამ** ქალწულო, რომლისა მიერ ანგელოზნი იშუებენ, მთავარანგელოზნი იხარებენ და წმიდაჲ **გაბრიელ** მთავარანგელოზი გახარებს და გეტყჳს: «გიხაროდენ, მიმადლებულო, უფალი შენ თანა!»(ლუკ.1,28).

გიხაროდენ, რომელი პირველად შენ შობ ყრმასა განმათავისუფლებელსა წყევისაგან; გიხაროდენ სიხარულისათჳს ყოვლისა ნათესავისა! გიხაროდენ სოფლისა ყოვლისა ცხორებისა მშობელსა! გიხაროდენ უჴრწნელსა ქალწულსა და უბიწოსა სანატრელსა! გიხაროდენ უქორწინებელად მშობელსა! გიხაროდენ უთესლოდ მშობელსა! გიხაროდენ, რომელმან მამისა შენისა **ადამისი** შემოქმედი მჴსნელი შევ! გიხაროდენ, რომელი უშრომელად შოვა-მდგომელ ხარ კაცთა მოკუდავთა ღმრთეებისა! გიხაროდენ, რომელმან შევ ღმერთი სრული და კაცი სრული, რომელსა მოგუთა თაყუანის სცეს ვარსკულავთა წინა-ძღომითა!

გიხაროდენ, **მარიამ**, წმიდაო ქალწულო,

* სინური მრავალთავი 864 წლისა, რედ. ა.კ. შანიძე, თბ., 1959. გვ. 202-205.

რამეთუ ოდესღა იყო **Ⴈოვანე** მუცელსა დედისა თჳსისასა, ჰკრთებოდა და თაყუანის-სცა სანთელმან მან ნათელსა დაუძინებელსა. Ⴂიხაროდენ, **Ⴋარიამ**, წმიდაო Ⴕალწულო, რომლისა მიერ მოგუემადლა მადლი იგი გამოუთქუმელი, რომლისათჳს თქუა მოციქულმან **Ⴎავლე**, რამეთუ: «გამოჩნდა მადლი იგი Ⴖმრთისაჲ მაცხოვრად ყოველთა კაცთა»(ტიტ.2,11).

Ⴂიხაროდენ, **Ⴋარიამ**, წმიდაო Ⴖმრთისმშობელო, რომლისაგან გამოვიდა Ⴌათელი იგი ჭეშმარიტი, Ⴓფალი ჩუენი Ⴈესუ Ⴕრისტჱ, რომელი იტყოდა და ახარებდა, ვითარმედ: «Ⴋე ვარ ნათელი სოფლისაჲ»(ინ.8,12). Ⴂიხაროდენ, **Ⴋარიამ**, წმიდაო Ⴕალწულო, რომლისა მიერ გამობრწყინდა ნათელი და ჴსნაჲ, რომელნი სხდეს ბნელსა და აჩრდილთა სიკუდილისათა, ვითარცა იტყჳს **Ⴈსაია**: «რომელნი სხდეს ბნელსა შინა, ნათელი დიდი იხილეს»(ეს.9,2; მთ.4,16). Ⴐომელი-მე ნათელი? – Ⴓფალი ჩუენი Ⴈესუ Ⴕრისტჱ, Ⴌათელი ჭეშმარიტი, Ⴐომელი განანათლებს ყოველსა კაცსა.

Ⴂიხაროდენ, **Ⴋარიამ**, წმიდაო Ⴕალწულო, რომლისა მიერ წმიდასა Ⴑახარებასა შინა იქადაგების: «კურთხეულ არს მომავალი სახელითა Ⴓფლისაჲთა»(მთ.21,9; 23,39; მრკ.11,9; ლუკ.13,35; 19,38; ინ.12,13). Ⴂიხაროდენ, **Ⴋარიამ**, წმიდაო Ⴕალწულო, რომლისაგან გამოვიდა მძლჱ სიკუდილისაჲ და შემმუსრველი ჯოჯოხეთისაჲ; გიხაროდენ, **Ⴋარიამ**, წმიდაო Ⴖმრთისმშობელო, რომლისაგან გამოვიდა პირველ შექმნულისაჲ მის დამბადებელი და ცთომისა განმაქარვებელი და სასუფეველისა ცათაჲსა მომატყუებელი.

Ⴂიხაროდენ, **Ⴋარიამ**, წმიდაო Ⴕალწულო, რომელმან გამოიღე ყუავილი იგი აღდგომისაჲ მკუდრეთით! გიხაროდენ, **Ⴋარიამ**, წმიდაო Ⴖმრთის-მშობელო, რომლისა მიერ ნათელვიღეთ, და გამოგჳდინე ჩუენ კურთხევაჲ იგი **Ⴈორდანისაჲ**, რომლისაგან განათლდებიან **Ⴈოვანე** და **Ⴈორდანე**. Ⴂიხაროდენ, Ⴖმრთისმშობელო **Ⴋარიამ**, რომლისა მიერ ყოველი სული მორწმუნეთაჲ Ⴕრისტჱსთაჲ ცხონდების, სიმრავლჱ ეშმაკთაჲ იდევნების, წინაწარმეტყუელნი უსწრობენ ურთიერთას ქებასა შენდამი. Ⴅითარცა იტყჳს წინაწარმეტყუელი **Ⴋოსე**: «მაყუალი აგზებული და არა შემწუარი ეგზებოდა და არა შეიწუებოდა»(გამს.3,2). Ⴄსე იგი არს: შვა Ⴖმერთი და საშოჲ არა განჴრწნა; მუცლად-იღო და Ⴕალწული ქალწუ-



ლადვე ეგო; გამოვიდა, მუცელი დაკრძალული დაუტევა; იტვრთა მკლავთა ზედა Ⴛჱ და ყმისა მის Ⴋამაჲ არავინ იცოდა; იქმნა Ⴃედა ჩჩჳლის და სძალ არასადა ყოფილ იყო; Ⴗმაჲ იზარდებოდა, და Ⴋამასა არა ჰპოვებდეს; აგარაკი ნაყოფიერ იქმნა, რომელსა მუშაკი არა დაშურა; მკაჲ მოიწია და მოიმკო, რომელსა თესლი არა დათესულ იყო; მდინარჱ დიოდა და თავი მდინარისაჲ მის დაჴშულ იყო; იქმნა Ⴃედა Ⴋხოლოდ-შობილისა, და დედობრივი ვნებაჲ მას არა ევნო.

Ⴀმან Ⴕალწულმან Ⴋეუფჱ ყოველთაჲ შეიწყნარა ბჭეთა მისთა და კუალად გამოვიდა მიერ და არცა მუცლად-ღებასა მისსა და არცა შობასა მას დიდისა მის Ⴋეუფისასა განეღო ბჭჱ იგი.

Ⴘენ, წმიდაო Ⴕალწულო, მტილად გიწოდა დაჴშულად და წყაროდ დაბეჭდულად: მტილად დაჴშულად მისთჳს, რამეთუ მანგალი იგი მუშაკისაჲ ყოვლადვე არა მიგეხო შენ, აღმოსცენდი ყუავილად **Ⴈესჱსსა**, ცხორებად ნათესავისა კაცთაჲსა; წყაროდ დაბეჭდულად ამისთჳს გიწოდა შენ, რამეთუ მდინარჱ იგი ცხორებისაჲ შენგან გამოვიდა და განავსო ყოველი სოფელი და თუალსა მას წყაროჲსასა არა დააკლდა ყოვლადვე.

Ⴐამეთუ შენთჳს ღაღადებდა **Ⴋიქეა** წინაწარმეტყუელი და იტყოდა: «და შენ, **Ⴁეთლემ**, სახლი ეგე **Ⴈუდაჲსი**, არაჲთ უმრწემჱს ხარ მთავართა შორის **Ⴈუდაჲსთა**, რამეთუ შენგან გამოვიდეს მთავარი, რომელმან დამწყსოს ერი ჩემი **Ⴈსრაელი**»(მიქ.5,2; მთ.2,6), ესე იგი არს Ⴓფალი ჩუენი Ⴈესუ Ⴕრისტჱ, რომელი შვა **Ⴁეთლემს** ზეცისა სძალმან მან **Ⴋარიამ** და თჳთცა ტაძარმან და სამკჳდრებელმან Ⴑულისა Ⴜმიდისამან, საყდარმან Ⴖმრთეებისამან, გამოუთქუმელმან საფასემან Ⴑამოთხისამან.

Ⴐამეთუ პირველ ანგელოზნი აბრალებდეს **Ⴄვას,** ხოლო აწ **Ⴋარიამს** ადიდებენ, რამეთუ უძლურებაჲ იგი დედათაჲ განკურნა და დაცემული დიდებაჲ თჳსი აღადგინა და განძებული **Ⴀდამ** Ⴑამოთხით წარმოგზავნა გზასა მას ზეცისასა, რომელმან დაჴშული Ⴑამოთხჱ განაღო და ავაზაკი დაამკჳდრა მას შინა. Ⴐამეთუ შენ მიერ შოვა-კედელი იგი ზღუდისაჲ მის დაჰჴსნა, კუალად შენ მიერ, წმიდაო Ⴕალწულო, მშჳდობაჲ იგი ზეცისაჲ კიდეთა ქუეყანისათა მოემადლა.

Ⴘენ მიერ იქმნეს ანგელოზ ძენი კაცთანი, და შენ მიერ გამოუბრწყინდა ძელი Ⴟუარ-

ისაჲ ყოველსა სოფელსა; Ⴘობილი იგი შენი დაემსჭუალა – Ⴓფალი ჩუენი Ⴈესუ Ⴕრისტჱ, და შენ მიერვე სიკუდილი დაითრგუნა, ჯოჯოხეთი წარმოიტყუენა, და შენ მიერ კერპნი დაეცნეს სოფელსა შინა, და ჭეშმარიტებაჲ იგიცა ქუეყანით აღმოსცენდა, და სიმართლჱ ზეცით გამოჩნდა.



Ⴃა შენ მიერ Ⴋხოლოდ-შობილი Ⴛჱ Ⴖმრთისაჲ გულისჴმა-ვყავთ, რომელსა ანგელოზნი და კაცნი თაყუანის-ვსცემთ და ვიტყჳთ: დაუსაბამოო Ⴋამაო, დაუსაბამოო Ⴛეო, დაუსაბამოო Ⴑულო Ⴜმიდაო – ერთ-არსებაო, ერთ-Ⴖმრთეებაო, გადიდებთ, გაქებთ და თაყუანის-გცემთ აწ და მარადის, უკუნითი უკუნისამდე. Ⴀმენ.

